

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2021 წლის „ ნოემბერი, ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, საზღვაო ნავსადგურის სკვერში მდებარე 20,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სანავიგაციო კოშკი) სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში, საზღვაო ნავსადგურის სკვერში მდებარე 20,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. №05.21.20.046) და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სანავიგაციო კოშკი) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარა) შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“-სათვის (ს/კ 245432544) გადაცემის თაობაზე.
2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების სარგებლობის ვადა განისაზღვროს 11 წლით.
3. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 5000,0 (ხუთი ათასი) ლარით.
4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, საზღვაო ნავსადგურის სკვერში მდებარე 20,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სანავიგაციო კოშკი) სარგებლობაში განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მთავრობასა და შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" შორის 2006 წლის 07 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების (რეესტრის №1-2329; შეთანხმება N258/11, 23.08.2011წ.-აღნაგობა) შესაბამისად, შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" 11 წლით იჯარით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმში, საზღვაო ნავსადგურის მიმდებარედ არსებულ სკვერში მდებარე ორი, 20-20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლებზეც განთავსებულია სანავიგაციო სახაზო ნიშანი-კოშკი. ქ. ბათუმის მერიასა და შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" შორის 2011 წლის 23 აგვისტოს შეთანხმებით ხელშეკრულებას ეწოდა აღნაგობის ხელშეკრულება და აღნაგობის საზღაურად ორივე მიწაზე განისაზღვრა 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" შორის 2015 წლის 15 მაისს გაფორმებული შეთანხმებით, #05.21.20.044 საკადასტრო კოდით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრირებულ 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ხელშეკრულებაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ჩაენაცვლა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. შესაბამისად, შპს "ბათუმის ნავთობტერმინალის" სარგებლობაში იმყოფება ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში, საზღვაო ნავსადგურის სკვერში მდებარე 20,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. №05.21.20.046) და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა (სანავიგაციო კოშკი), როგორც შპს "ბათუმის ნავთობტერმინალის" საქმიანობისათვის აუცილებელი ობიექტი. 2017 წლის 07 აპრილს ზემოთაღნიშნულ აღნაგობის ხელშეკრულებას გაუვიდა ვადა. შემდგომში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" შორის მიმდინარეობდა მიმოწერები აღნიშნული ობიექტის შპს "ბათუმის ნავთობტერმინალი"-სათვის იჯარით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე და ხორციელდებოდა ღონისძიებები უძრავი ქონების წლიური საიჯარო ქირის დადგენის მიზნით მიწის ნაკვეთზე განთავსებული სანავიგაციო კოშკის საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის შესახებ. აუდიტის დასკვნით (ბთ/მ-84; 04.06.2020წ.) ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში, საზღვაო ნავსადგურის სკვერში მდებარე 20,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. №05.21.20.046) საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 14 000,0 ლარით, ხოლო და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სანავიგაციო კოშკი) – 80 000,0 ლარით. სულ უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა 94 000,0 ლარი. წლიური საიჯარო ქირა არანაკლებ: 94 000,0 ლარის 5%-ს, ანუ 4700,0 ლარისა.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს შპს "ბათუმის ნავთობტერმინალი"-ს თხოვნა და მას 11 წლის ვადით იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ზემოთაღნიშნული უძრავი ქონება, როგორც შპს "ბათუმის ნავთობტერმინალის" საქმიანობისათვის აუცილებელი ობიექტი. ქონებით სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს 5000,0 ლარით. ამასთან, შპს "ბათუმის ნავთობტერმინალს" დაეკისროს 2006 წლის 07 აპრილის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის - 2017 წლის 07 აპრილის შემდგომ პერიოდში უძრავი ქონებით სარგებლობის საფასურის გადახდა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, საზღვაო ნავსადგურის სკვერში მდებარე 20,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სანავიგაციო კომპი), როგორც საქმიანობისათვის აუცილებელი ობიექტის შპს "ბათუმის ნავთობტერმინალი"-სათვის სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე - სარგებლობის ვადის განმავლობაში მოიჯარის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში უძრავი ქონებით სარგებლობის საფასურის სახით იჯარის პერიოდში განხორციელდება 55 000,0 ლარის შეტანა. ასევე, 2006 წლის 07 აპრილის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის - 2017 წლის 07 აპრილის შემდგომ პერიოდში უძრავი ქონებით სარგებლობის საფასურის 20 000,0 ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე